არ გადააქცვიოთ თქვენი სახლები სასაფლაოებად, უეჭველად, ეშმაკი გაურბის იმ სახლს, სადაც სურა "ალ-ბაყარა" იკითხება

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ გადააქცვიოთ თქვენი სახლები სასაფლაოებად, უეჭველად, ეშმაკი გაურბის იმ სახლს, სადაც სურა "ალ-ბაყარა" იკითხება».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კრძალავს, რომ სახლები დაემსგავსოს სასაფლაოებს, სადაც ლოცვა არ სრულდება. შემდეგ გვამცნო (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას), რომ ეშმაკი გაურბის იმ სახლს, სადაც სურა "ალ-ბაყარა" იკითხება.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6208

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee